MED EL

გაკვეთილების კრებული

25 ჩვენი ჰობი



გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. ჩვენი ჰობი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. მოედანი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ჩვენი ჰობი: პირველი დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ჩვენი ჰობი **რესურსები** • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა1 + დამატებითი აქტივობა წიგნის ბოლოს	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · ადამიანის სახელი · ჰობი	• იმეორებს სახელს • საუბრობს ჰობის შესახებ	• აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ
მოედანი **რესურსები** • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა2 • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა2 მოედანი	• ითვისებს ერთ საგანს: · საგანი · თანდებული	• აკეთებს საგნების აღნიშვნას	• მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს

ჩვენი ჰობი: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ჩვენი ჰობი **რესურსები** • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა1 + დამატებითი აქტივობა წიგნის ბოლოს	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · სახელი + ჰობი · ზმნა + ჰობი	• იმეორებს 3-4 სიტყვას წინადადებიდან	• აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ • საუბრობს საკუთარ უპირატესობაზე
მოედანი **რესურსები** • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა2 • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა2 მოედანი	• ითვისებს ორ საგანს: · თანდებული + საგანი	• აღწერს ადამიანს 2 სიტყვის გამოყენებით • იძლევა მითითებებს, რომლებიც შეიცავს თანდებულს + საგანს	• მონაცვლეობით ასრულებს თამაშში მსმენელის და მოსაუბრეს როლს

ჩვენი ჰობი: მესამე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ჩვენი ჰობი **რესურსები** • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა1 + დამატებითი აქტივობა წიგნის ბოლოს	• იმეორებს 6-სიტყვიან წინადადებას	• მსჯელობს წარსულ გამოცდილებაზე	• საუბრობს საკუთარ უპირატესობაზე და სხვებსაც ეკითხება მათ შესახებ.
მოედანი **რესურსები** • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა2 • ჩვენი ჰობი დ1 დ2 დ3 ა2 მოედანი	• მიჰყვება მითითებას, რომელიც შეიცავს საგნის აღწერას + თანდებულს + საგანს	• იძლევა მითითებებს, რომლებიც შეიცავს სახელს (ან აღწერას) + თანდებულს + საგანს	• ამოწმებს საკუთარ თავს დაზუსტებითი კითხვების მეშვეობით

აქტივობა

1. ჩვენი ჰობი

რესურსები

- ჩვენი ჰობი d1 d2 d3 a1
- მაკრატელი (და საკინძი ქიკარტი დამატებითი აქტივობისთვის)

მომზადება

ამობეჭდეთ ჩვენი ჰობის d1 d2 d3 a1 უკანა გვერდი პატარა ზომის ბარათზე და გადადეთ დამატებითი აქტივობისთვის.
ამობეჭდეთ ჩვენი ჰობის d1 d2 d3 a2 დარჩენილი გვერდები ქაღალდზე.

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და შემდეგ წაკითხვას.

1. გადმოატრიალეთ გვერდები გამოსახულებით ზემოთ და აიღეთ სათაურის გვერდი.
2. გადადეთ ბოლო გვერდი : "ჩვენ ყველას გვიყვარს ფეხბურთი!"
3. ერთად გადახედეთ ყველა დანარჩენ გვერდს და გადაწყვიტეთ, რომელი გვერდი იქნება წიგნში პირველი. შეგიძლიათ იკითხოთ: "ვინ გინდა?" ან "ვინ იქნება შემდეგი?"
4. სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს აჩვენოს ბავშვს, თუ როგორ უნდა გააკეთოს არჩევანი, მიუთითოს და თქვას: "აი ეს".
5. თითოეულ გვერდს წიგნში ჩადებისას რიგრიგობით გააკეთეთ არჩევანი.
6. დაამატეთ ბოლო გვერდი და აკინძეთ იგი სტეპლერით.
7. წაიკითხეთ პირველი გვერდი და სთხოვეთ ბავშვს ერთი სიტყვა მაინც გაიმეოროს, შემდეგ კი აჩვენეთ სურათი.
8. აქტივობის დასაწყებად გადაეცით წიგნი მშობელს/აღმზრდელს.
9. წიგნის წაკითხვის შემდეგ, ისრით მიჰყევით გვერდზე მოცემული დამატებითი აქტივობის ინსტრუქციას.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:
  - ადამიანის სახელი
  - ჰობი

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ:პირველ დონეზე მყოფი ბავშვი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს თითოეულ გვერდზე არსებულ ბოლო სიტყვას - ამ შემთხვევაში ჰობის. თქვენ ასევე შეგიძლიათ ფორმულირების შეცვლით დაეხმაროთ მათ სახელების გაგებაში. შემდეგ დაელოდეთ მანამ, სანამ ბავშვი შეეცდება მოსმენილის გამეორებას (მაგალითად, მისი სახელია ჰანა... მან თქვა, რომ უყვარს ველოსიპედით სიარული.)

წიგნები, წიგნები, წიგნები: ბავშვთან ერთად კითხვა უწყობს ხელს წერა-კითხვის უნარის განვითარებას. მიუთითეთ ტექსტზე და დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს განსხვავება ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის, რათა დაიწყოს იმის გაცნობიერება, რომ ტექსტი ატარებს მნიშვნელობას.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს სახელს
- საუბრობს ჰობის შესახებ (მაგალითად, ჩოგბურთი)

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი:პირველ დონეზე მყოფმა ბავშვმა შეიძლება ვერ შეძლოს სახელების ან ჰობის მხოლოდ ერთხელ მოსმენის შემდეგ გამეორება. მიაწოდეთ ბავშვს აკუსტიკურად აქცენტირებული ენის მოდელი, რომლის დაკოპირებასაც შეძლებს. სთხოვეთ ბავშვს რომ სცადოს გამეორება, შემდეგ კვლავ გაიმეორეთ სამიზნე სიტყვა, რომ გააკეთოს შედარება.

სმენითი სენდვიჩი:თუ ბავშვი ვერ გაიმეორებს სამიზნე სიტყვას, გამოიყენეთ სმენითი სენდვიჩი მეთოდი. მიეცით ბავშვს სურათის ნახვის უფლება და მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია სიტყვის შესახებ. მაგალითად, შეგიძლიათ მეტი გართობისთვის გააკეთოთ ჰობის შესახებ მინიშნებები მოქმედებებით და შემდეგ კვლავ გაიმეოროთ სიტყვა.

მოსალოდნელი შედეგები

- აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ამ წიგნში მოცემული წინადადების სტრუქტურა დაეხმარება ბავშვს გონების თეორიის უნარის განვითარებაში და ხელი შეუწყობს იმის გაცნობიერებაში, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ და რომ ადამიანებს შეუძლიათ თქვან ისეთი რამ, რაც შეიძლება სიმართლეს არ შეესაბამებოდეს. შეიტყვეთ მეტი გონების თეორიის შესახებ ბოლო გვერდზე მოცემული დამატებითი აქტივობის საშუალებით.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ჩვენი ჰობი

მომზადება

ამობეჭდეთ ჩვენი ჰობის d1 d2 d3 a1 უკანა გვერდი პატარა ზომის ბარათზე და გადადეთ დამატებითი აქტივობისთვის.
ამობეჭდეთ ჩვენი ჰობის d1 d2 d3 a2 დარჩენილი გვერდები ქაღალდზე.

რესურსები

- ჩვენი ჰობი d1 d2 d3 a1
- მაკრატელი (და საკინძი ჭიკარტი დამატებითი აქტივობისთვის)

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და შემდეგ წაკითხვას.

1. გადმოატრიალეთ გვერდები გამოსახულებით ზემოთ და აიღეთ სათაურის გვერდი.
2. გადადეთ ბოლო გვერდი "ჩვენ ყველას გვიყვარს ფეხბურთი!"
3. ერთად გადახედეთ ყველა დანარჩენ გვერდს და გადაწყვიტეთ, რომელი გვერდი იქნება წიგნში პირველი. შეგიძლიათ იკითხოთ: "ვინ გინდა?" ან "ვინ იქნება შემდეგი?"
4. სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს აჩვენოს ბავშვს, თუ როგორ უნდა გააკეთოს არჩევანი, მიუთითოს და თქვას: "აი ეს" ან "ეს გოგო" ან "ეს ბიჭი".
5. თითოეულ გვერდს წიგნში ჩადებისას რიგრიგობით გააკეთეთ არჩევანი.
6. დაამატეთ ბოლო გვერდი და აკინძეთ იგი სტეპლერით.
7. წაიკითხეთ პირველი გვერდი და სთხოვეთ ბავშვს ორი სიტყვის გამეორება, შემდეგ კი აჩვენეთ სურათი.
8. აქტივობის დასაწყებად გადაეცით წიგნი მშობელს/აღმზრდელს.
9. წიგნის წაკითხვის შემდეგ, ისრით მიჰყევით გვერდზე მოცემული დამატებითი აქტივობის ინსტრუქციას.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას:
  - სახელი + ჰობი (მაგალითად, ჰანა... ველოსიპედით სიარული)
  - ზმნა + ჰობი (მაგალითად, ჩოგბურთს თამაშობს/მოსწონს ჩოგბურთი)

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: მეორე დონეზე მყოფი ბავშვები წინადადებაში უფრო მეტ ელემენტზე დაიწყებენ ყურადღების მიქცევას. ესეთი წინადადების წყობა რთულია, რადგან ის იწყება სახელით და მთავრდება ჰობით. თქვენ ასევე შეგიძლიათ ფორმულირების შეცვლით დაეხმაროთ მათ სახელების გაგებაში. შემდეგ დაელოდეთ მანამ, სანამ ბავშვი შეეცდება მოსმენილის გამეორებას (მაგალითად, მისი სახელია ლიამი ... მან თქვა, რომ მოსწონს ჰოკეის თამაში.)

წიგნები, წიგნები, წიგნები: ბავშვთან ერთად კითხვა უწყობს ხელს წერა-კითხვის უნარის განვითარებას. მიუთითეთ ტექსტზე და დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს, რომ ტექსტი ატარებს მნიშვნელობას. გარდა ამისა, წიგნი წარმოადგენს სასწავლო პლატფორმას, რომელშიც შედის ის, რაც არ არის ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს 3-4 სიტყვას წინადადებიდან

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი სენდვიჩი: მეორე დონეზე მყოფი ბავშვისთვის ზოგიერთი ჰობი შეიძლება იყოს ახალი სიტყვა. დაეხმარეთ მას შექმნას ასოციაციები, რომლებიც დაეხმარება ახალი სიტყვების დამახსოვრებაში, აუდიტორული სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით და სამიზნე სიტყვის გამეორებით. მიეცით ბავშვს სურათის ნახვის უფლება და მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია სიტყვის შესახებ. მაგალითად, შეგიძლიათ მეტი გართობისთვის გააკეთოთ ჰობის შესახებ მინიშნებები მოქმედებებით და შემდეგ კვლავ გაიმეოროთ სიტყვა.

გავრცობა და განგრძობა: ყურადღებით მოუსმინეთ რას ამბობს ბავშვი. დაარიგეთ მშობელი/აღმზრდელი, რომ გაიმეოროს და დაამატოს კიდევ ერთი სიტყვა ან იდეა, რომ წინადადება გახდეს უფრო სრულყოფილი ან რთული.

მოსალოდნელი შედეგები

- აცნობიერებს, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ
- საუბრობს საკუთარ უპირატესობაზე

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ამ წიგნში მოცემული წინადადების სტრუქტურა დაეხმარება ბავშვს გონების თეორიის უნარის განვითარებაში და ხელი შეუწყობს იმის გაცნობიერებაში, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ და რომ ადამიანებს შეუძლიათ თქვან ისეთი რამ, რაც შეიძლება სიმართლეს არ შეესაბამებოდეს. შეიტყვეთ მეტი ამ თემის შესახებ, ბოლო გვერდზე მოცემული დამატებითი აქტივობის საშუალებით.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ჩვენი ჰობი

რესურსები

- ჩვენი ჰობი d1 d2 d3 ა1
- მაკრატელი (და საკინძი ქიკარტი დამატებითი აქტივობისთვის)

მომზადება

ამობეჭდეთ ჩვენი ჰობის d1 d2 d3 ა1 უკანა გვერდი პატარა ზომის ბარათზე და გადადეთ დამატებითი აქტივობისთვის.
ამობეჭდეთ ჩვენი ჰობის d1 d2 d3 ა2 დარჩენილი გვერდები ქაღალდზე.

თქვენ აპირებთ წიგნის ერთად დამზადებას და შემდეგ წაკითხვას.

1. გადმოატრიალეთ გვერდები გამოსახულებით ზემოთ და აიღეთ სათაურის გვერდი.
2. გადადეთ ბოლო გვერდი : "ჩვენ ყველას გვიყვარს ფეხბურთი!"
3. ერთად გადახედეთ ყველა დანარჩენ გვერდს და გადაწყვიტეთ, რომელი გვერდი იქნება წიგნში პირველი. შეგიძლიათ იკითხოთ: "ვინ გინდა რომ იყოს შემდეგი?" ან "ვინ იქნება შემდეგი (თქვით სახელი)?"
4. სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს აჩვენოს ბავშვს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს რბილი შეთავაზება ერთობლივ თამაშში მონაწილეობისას (მაგალითად, "იქნებ ეს ავირჩიოთ?").
5. თითოეულ გვერდს წიგნში ჩადებისას რიგრიგობით გააკეთეთ არჩევანი.
6. დაამატეთ ბოლო გვერდი და აკინძეთ იგი სტეპლერით.
7. წაიკითხეთ პირველი გვერდი და სთხოვეთ ბავშვს გაიმეოროს რაც შეიძლება მეტი სიტყვა, შემდეგ კი აჩვენეთ სურათი.
8. აქტივობის დასაწყებად გადაეცით წიგნი მშობელს/აღმზრდელს.
9. წიგნის წაკითხვის შემდეგ, ისრით მიჰყევით გვერდზე მოცემული დამატებითი აქტივობის ინსტრუქციას.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს 6-სიტყვიან წინადადებას

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი მეხსიერების შექმნა: გრძელი წინადადებების მოსმენა და დამახსოვრება მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვის მეტყველების განვითარებას. მოთხრობაში მოცემული წინადადების სტრუქტურა ბავშვისთვის კარგი სავარჯიშოა, რადგან ის საშუალებას აძლევს მას გამოთქვას ის, თუ რაზე საუბრობენ სხვები და ეხმარება სხვისი აზრის, გრძნობებისა და შეხედულებების გაგებაში.

წიგნები, წიგნები, წიგნები: ბავშვთან ერთად კითხვა უწყობს ხელს წერა-კითხვის უნარის განვითარებას. მიუთითეთ ტექსტზე და დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს, რომ ტექსტი ატარებს მნიშვნელობას. გარდა ამისა, წიგნი წარმოადგენს სასწავლო პლატფორმას, რომელშიც შედის ის, რაც არ არის ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი.

მოსალოდნელი შედეგები

- მსჯელობს წარსულ გამოცდილებაზე

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი სენდვიჩი: მესამე დონეზე მყოფი ბავშვისთვის ზოგიერთი ჰობი შეიძლება იყოს ახალი სიტყვა. დაეხმარეთ მას შექმნას ასოციაციები, რომლებიც დაეხმარება ახალი სიტყვების დამახსოვრებაში, აუდიტორული სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით და სამიზნე სიტყვის გამეორებით. მიეცით ბავშვს სურათის ნახვის უფლება და მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია სიტყვის შესახებ. მაგალითად, შეგიძლიათ მეტი გართობისთვის გააკეთოთ ჰობიზე მინიშნებები მოქმედებებით და შემდეგ კვლავ გაიმეოროთ სიტყვა.

გავრცობა და განგრძობა: ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს გააგრძელოს ბავშვის ნათქვამი მის წარსულ გამოცდილებაზე საუბრით. ისააკმა თქვა, რომ მას უყვარს ბეისბოლის თამაში, მაგრამ შენ თქვი, რომ ბეისბოლი არ გიყვარს.

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს საკუთარ უპირატესობაზე და სხვებსაც ეკითხება მათ შესახებ.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: შეკითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება მოსწონთ, სასარგებლო სოციალური უნარია და საუბრის დაწყების შესანიშნავი გზაა. ასწავლეთ როგორ უნდა დასვას ეს კითხვები წიგნის კითხვის დროს. ჰანამ თქვა, რომ მას უყვარს ველოსიპედით სიარული. შენ გიყვარს ველოსიპედით სიარული? ჰკითხეთ მამას, უყვარს თუ არა მას ველოსიპედით სიარული.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი

ჩვენი ჰობი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 100 გრ

1. ჩვენი ჰობი





ჰანამ თქვა, რომ მას უყვარს ველოსიპედით სიარული.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





კარლომ თქვა, რომ მას უყვარს ჩოგბურთის თამაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი



ლაიმმა თქვა, რომ
მას უყვარს ჰოკეის თამაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





დიამ თქვა, რომ
მას უყვარს
მშვილდოსნობა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





პაოლომ თქვა, რომ მას უყვარს ბოულინგის თამაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





ზარამ თქვა, რომ
მას უყვარს თევზაობა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





ისააკმა თქვა, რომ
მას უყვარს ბეისბოლის
თამაში,

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





ჰარიმ თქვა, რომ
მას უყვარს მაგიდის
ჩოგბურთის თამაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





ემამ თქვა, რომ
მას უყვარს ცურვა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. ჩვენი ჰობი





მიკამ თქვა, რომ
მას უყვარს კალათბურთის
თამაში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

1. ჩვენი ჰობი

ყველამ თქვა - "ჩვენ ყველას გვიყვარს ფეხბურთი!"

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

დამატებითი აქტივობა

დამატებითი აქტივობა:
ამობეჭდეთ ისარი პატარა ბარათზე, გამოჭერით იგი და მიამაგრეთ სათაურის გვერდზე საკინძი ჭიკარტის გამოყენებით. გააჩერეთ ისარი თითოეულ სურათზე და ისაუბრეთ ჰობის შესახებ.
რიგრიგობით დაატრიალეთ ისარი და ისაუბრეთ იმაზე, თუ ვინ ამბობს წიგნში, რომ ეს ჰობი უყვარს.
ასწავლეთ როგორ გამოიყენოს ემოციურ-ფსიქიკური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (მაგალითად, იფიქრე, დაიმახსოვრე, დაივიწყე, გამოიცანი).

1. მე მახსოვს, ჰანამ თქვა, რომ მას უყვარს ველოსიპედით სიარული.
2. მე დამავიწყდა ვინ თქვა, რომ უყვარს ჩოგბურთის თამაში.
3. მე მეგონა რომ ლიამმა თქვა, მაგრამ ზარას უთქვამს, რომ თევზაობა უყვარს.

ზემოთ მოცემული წინადადების სტრუქტურების გაცნობიერება ეხმარება ბავშვებს განავითარონ უნარი, რომელიც საჭიროა ერთი აზრის მეორეში გადასვლისათვის, რომელიც აძლევს მათ ორი განსხვავებული ხედვისა და მსჯელობის გაგების საშუალებას. კომუნიკაციური ზმნები (მაგალითად, თქვა, უპასუხა, ჩაუჩურჩულა) ეხმარება ბავშვს გაეცნოს სხვების ხედვას. ემოციურ-ფსიქიკური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (მაგალითად, დაიმახსოვრე, დაივიწყე, გამოიცანი, ინერვიულე, ისიამოვნე) ბავშვს ეხმარება სხვისი აზრის (და გრძნობების) გაგებაში. მე-3 მაგალითში აზრი ეწინააღმდეგება ფაქტს, რაც ეხმარება ბავშვს იმის გაგებაში, რომ ადამიანს შეუძლია თქვას და დაიჯეროს ისეთი რამ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამას უწოდებენ ცრუ რწმენას. ყველაფერი ეს გონების თეორიის მნიშვნელოვანი უნარებია.

პირველ და მეორე დონეზე მყოფ ბავშვებს გაუჭირდებათ რთული წინადადებების გაგება. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ შეუმსუბუქოთ სალაპარაკო ენის მოდელი და ასწავლოთ მათ მშობლებს/აღმზრდელს, თუ როგორ გამოიყენონ სტატიკური ზმნები სპინერის აქტივობაში. ოჰ, ეს ჩოგბურთია. ჰმ... მოდი გამოვიცნო... ვის უყვარს ჩოგბურთი? მე მგონი დიას. მოდი ვნახოთ. უი არა! დიას არა. მე მახსოვს, რომ ეს იყო კარლო.



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. მოედანი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე. ამობეჭდეთ მოედნის ორი ეგზემპლარი. დავჭრათ გუნდები 2 პანელად.

რესურსები

- ჩვენი ჰობი
  დ1 დ2 დ3 ა2
- ჩვენი ჰობი
  დ1 დ2 დ3 ა2 - მოედანი
- ორი ცალი მაკრატელი

თქვენ უნდა ითამაშოთ თამაში ბარიერით და განათავსოთ მოთამაშეები და ბურთი მოედანზე. 2 ველი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

1. მიეცით ბავშვს და მშობელს/აღმზრდელს მოთამაშეების ერთი გუნდი და ერთი მოედანი. პირველ დონეზე მყოფი ბავშვისთვის, შეამცირეთ გუნდი 6 მოთამაშემდე. წაახალისეთ ბავშვი, რომ გამოჭრას მოთამაშის ბარათები და ბურთი. შეიძლება ამოჭრის დროს მოგიწიოთ ბავშვის დახმარება.
2. ამოჭრის დროს გამოიყენეთ წინა აქტივობის წიგნი, რომ გაახსენოთ ყველას სურათებზე გამოსახული ბავშვების სახელები.
3. თამაშის დასაწყებად გუნდის მოთამაშეების ბარათები უნდა განთავსდეს მათი მოედნის გვერდით.
4. ასწავლეთ მშობელს/აღმზრდელს, როგორ ისაუბრონ იმაზე, ვის ირჩევს ბავშვი პირველად. ბავშვს შეუძლია გამოიყენოს სახელი ან აღწერა და შემდეგ აიღოს სურათი.
5. წაახალისეთ ბავშვი, რომ იპოვოს მსგავსი სურათი.
6. ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს ისაუბრონ იმაზე, თუ სად უნდა დააყენოს მოთამაშე მოედანზე, ცოტათი დაელოდოს და შემდეგ მოათავსონ იგი მოედანზე.
7. შემდეგ შესთავაზეთ ბავშვს აირჩიოს მოთამაშე და თქვას სად უნდა დააყენოს იგი. ამის შემდეგ მშობელი/აღმზრდელი განათავსებს თავის შესატყვის მოთამაშეს თავიანთი მოედნის იმავე ადგილზე.
8. გაიმეორეთ მანამ, სანამ ყველა მოთამაშე და ბურთი არ იქნება მოედანზე.
9. მას შემდეგ, რაც ბავშვი კარგად აითვისებს სიტყვათა მარაგს, შეგიძლიათ შექმნათ ბარიერი ველებს შორის ისე, რომ ბავშვი მიჰყვეს მითითებებს მხოლოდ მოსმენის საშუალებით.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ერთ საგანს:
  - საგანი (მაგალითად, ფოთოლი, ხე, ყვავილი)
  - თანდებული (მაგალითად, ქვეშ, -ზე)

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა მომზადების მთელ პროცესში. შეგიძლიათ გაუადვილოთ ბავშვს ამოჭრის პროცესი. გამოჭერით მოთამაშეები 2 გრძელ ზოლად იმისათვის, რომ ბავშვს პატარა ნაწილის მოჭრა დასჭირდეს. ეს მეთოდი უზრუნველყობს ინსტრუქციის გამეორების 10 შესაძლებლობას. ახლა შეგიძლია გაჭრა. ბავშვისთვის სასარგებლოა ბუნებრივი გამეორების გამოყენება, იგი ხელს უწყობს სიტყვების მნიშვნელობის განმტკიცებას.
ყურადღებით მოუსმინე: წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, რომ ისაუბროს სურათების შესახებ, სანამ გააკეთებს არჩევანს და სანამ დააყენებს მოთამაშეს მოედანზე. ეს ხერხი ხელს უწყობს ბავშვებს მიაქციონ ყურადღება სიტყვების ჟღერადობას და როდესაც დაინახავენ ნათქვამის შემდეგ მოქმედებას, მათ შეეძლებათ სიტყვების მნიშვნელობის გაგება.

მოსალოდნელი შედეგები

- აღნიშნავს საგანს (მაგალითად, ფოთოლი, კლდე)

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები:ვარიანტებიან კითხვაში ახალი სიტყვების გამოყენებით, თქვენ დაეხმარებით პირველ დონეზე მყოფ ბავშვს სიტყვათა მარაგის შეძენაში. სად გინდა მისი დადება, ფოთოლზე თუ კლდეზე?
მომიახლოვდი: ამ აქტივობისას გვერდიგვერდ ჯდომა საშუალებას აძლევს ბავშვს და მშობელს/აღმზრდელს შეადარონ თავიანთი მოედნები და დარწმუნდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. ის ასევე უზრუნველყოფს მოსასმენ ოპტიმალურ გარემოს სასიამოვნო ხმით, რომელიც ახლოსაა ბავშვის აუდიო პროცესორთან.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის შესწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. ამ თამაშში შეგიძლიათ იყოთ ან მსმენელი და მთქმელი. აღნიშნეთ თითოეულის როლი, რომ ბავშვმა იცოდეს რა უნდა გააკეთოს, როდესაც მისი ჯერი მოვა. ახლა შენი დედიკო მთქმელია. მოიცადე. ის გეტყვით სად უნდა დააყენო მოთამაშე. მოუსმინე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. მოედანი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე. ამობეჭდეთ მოედნის ორი ეგზემპლარი. დავჭრათ გუნდები 2 პანელად.

რესურსები

- ჩვენი ჰობი
  დ1 დ2 დ3 ა2
- ჩვენი ჰობი
  დ1 დ2 დ3 ა2 - მოედანი
- ორი ცალი
  მაკრატელი/
  ნებისმიერი ბარიერი
  (წიგნი ან საქაღალდე)

თქვენ უნდა ითამაშოთ თამაში ბარიერით და განათავსოთ მოთამაშეები და ბურთი მოედანზე. 2 ველი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

1. მიეცით ბავშვს და მშობელს/აღმზრდელს მოთამაშეების ერთი გუნდი და ერთი მოედანი. წაახალისეთ ბავშვი, რომ გამოჭრას მოთამაშის ბარათები და ბურთი. შეიძლება ამოჭრის დროს მოგიწიოთ ბავშვის დახმარება.
2. ამოჭრის დროს გამოიყენეთ წინა აქტივობის წიგნი, რომ გაახსენოთ ყველას სურათებზე გამოსახული ბავშვების სახელები და ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გამოიყურება და რა აცვია ბავშვს.
3. თამაშის დასაწყებად გუნდის მოთამაშეების ბარათები უნდა განთავსდეს მათი მოედნის გვერდით. გამოიყენეთ ბარიერი, რათა ბავშვმა და მშობელმა/აღმზრდელმა არ დაინახონ ერთმანეთის მოედანი.
4. ასწავლეთ მშობელს/აღმზრდელს, როგორ ისაუბრონ იმაზე, ვის ირჩევს ბავშვი პირველად. ბავშვს შეუძლია გამოიყენოს სახელი ან აღწერა და შემდეგ აიღოს სურათი.
5. წაახალისეთ ბავშვი, რომ იპოვოს მსგავსი სურათი.
6. ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს ისაუბრონ იმაზე, თუ სად უნდა დააყენონ მოთამაშე მოედანზე და წაახალისეთ ბავშვი, რომ მიჰყვეს მითითებებს.
7. შემდეგ შესთავაზეთ ბავშვს აირჩიოს მოთამაშე და თქვას სად უნდა დააყენოს იგი. ამის შემდეგ მშობელი/აღმზრდელი განათავსებს თავის შესატყვის მოთამაშეს თავიანთი მოედნის იმავე ადგილზე.
8. გაიმეორეთ მანამ, სანამ ყველა მოთამაშე და ბურთი არ იქნება მოედანზე, შემდეგ მოხსენით ბარიერი და შეადარეთ მოედნები.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს ორ საგანს: თანდებული + საგანი (მაგალითად, ყვავილზე, ხის წინ)

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა მომზადების მთელ პროცესში. შეგიძლიათ გაუადვილოთ ბავშვს ამოჭრის პროცესი. გამოჭერით მოთამაშეები 2 გრძელ ზოლად იმისათვის, რომ ბავშვს პატარა ნაწილის მოჭრა დასჭირდეს. ეს ასევე საშუალებას მოგცემთ მიაწოდოთ მას თითოეული სურათის აღწერის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია. ოჰ, შენ ჭრი ლურჯ შორტებიან ბიჭს . მისი სახელია ჰარი. ყურადღებით მოუსმინე: ბარიერული თამაშები უწყობს ხელს მოსმენას, რადგან ამოცანა მდგომარეობს იმაში, შეძლებს თუ არა ბავშვი მოთამაშეთა იგივე პოზიციაზე განლაგებას მხოლოდ მოსმენის საშუალებით. მეორე დონეზე მყოფი ბავშვებისთვის, თქვენ უნდა სცადოთ ორსაფეხურიანი აქტივობა. ჯერ უნდა ამოიცნოთ ადამიანი და შემდეგ თქვათ, თუ სად დგას ის.

მოსალოდნელი შედეგები

- აღწერს ადამიანს 2 (ან 3) სიტყვის გამოყენებით (მაგალითად, წითელი მაისური, გოგონა (გრძელი თმით))
- იძლევა მითითებებს, რომლებიც შეიცავს თანდებულს + საგანს (მაგალითად, კლდის ქვეშ, ყვავილის გვერდით)

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ბარიერული თამაშები შესანიშნავია სმენის სავარჯიშოდ. შეახსენეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ახლოს დაჯდეს ბავშვის აუდიო პროცესორთან, რათა უზრუნველყოს სიგნალი ოპტიმალური მიწოდება. გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ მეორე დონეზე მყოფ ბავშვებს ისწავლონ ახალი თანდებულები. მიაწოდეთ ვარიანტებიანი შეკითხვებით ახალი სიტყვები, რათა შეძლონ მათი ზუსტად გამეორება იმისათვის, რომ მისცენ მშობლებს/აღმზრდელებს მითითებები. შენ ალბათ გინდა უთხრა მამას, რომ აქ დადოს, კლდის ქვეშ ან აქ, კლდის გვერდით.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაცვლეობით ასრულებს თამაშში მსმენელის და მოსაუბრეს როლს

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის შესწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. ამ თამაშში შეგიძლიათ იყოთ ან მსმენელი და მთქმელი. აღნიშნეთ თითოეულის როლი, რომ ბავშვმა იცოდეს რა უნდა გააკეთოს, როდესაც მისი ჯერი მოვა. ახლა შენი დედიკო მთქმელია. მოიცადე. ის გეტყვით სად უნდა დააყენო მოთამაშე. მოუსმინე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. მოედანი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე. ამობეჭდეთ მოედნის ორი ეგზემპლარი. დავჭრათ გუნდები 2 პანელად.

რესურსები

- ჩვენი ჰობი
  დ1 დ2 დ3 ა2
- ჩვენი ჰობი
  დ1 დ2 დ3 ა2 - მოედანი
- ორი ცალი
  მაკრატელი/
  ნებისმიერი ბარიერი
  (წიგნი ან საქაღალდე)

თქვენ უნდა ითამაშოთ თამაში ბარიერით და განათავსოთ მოთამაშეები და ბურთი მოედანზე. 2 ველი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

1. მიეცით ბავშვს და მშობელს/აღმზრდელს მოთამაშეების ერთი გუნდი და ერთი მოედანი. წაახალისეთ ბავშვი, რომ გამოჭრას მოთამაშის ბარათები და ბურთი. შეიძლება ამოჭრის დროს მოგიწიოთ ბავშვის დახმარება.
2. ამოჭრის დროს გამოიყენეთ წინა აქტივობის წიგნი, რომ გაახსენოთ ყველას სურათებზე გამოსახული ბავშვების სახელები და ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ გამოიყურება და რა აცვია ბავშვს.
3. თამაშის დასაწყებად გუნდის მოთამაშეების ბარათები უნდა განთავსდეს მათი მოედნის გვერდით. გამოიყენეთ ბარიერი, რათა ბავშვმა და მშობელმა/აღმზრდელმა არ დაინახონ ერთმანეთის მოედანი.
4. ასწავლეთ მშობელს/აღმზრდელს, როგორ ისაუბრონ იმაზე, ვის ირჩევს ბავშვი პირველად და სად უნდა დააყენოს მოთამაშე მოედანზე.
5. წაახალისეთ ბავშვი, რომ იპოვოს მოთამაშე და განათავსოს იგი მოედანზე.
6. შემდეგ შესთავაზეთ ბავშვს აირჩიოს მოთამაშე და თქვას სად უნდა დააყენოს იგი. ამის შემდეგ მშობელი/აღმზრდელი განათავსებს თავის შესატყვის მოთამაშეს თავიანთი მოედნის იმავე ადგილზე.
7. გაიმეორეთ მანამ, სანამ ყველა მოთამაშე და ბურთი არ იქნება მოედანზე, შემდეგ მოხსენით ბარიერი და შეადარეთ მოედნები.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებას, რომელიც შეიცავს საგნის აღწერას + თანდებულს + საგანს (მაგალითად, დადე წითელ მაისურიანი გოგონა ყვავილის ქვემოთ.)

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბარიერული თამაშები უწყობს ხელს მოსმენას, რადგან ამოცანა მდგომარეობს იმაში, შეძლებს თუ არა ბავშვი მოთამაშეთა იგივე პოზიციაზე განლაგებას მხოლოდ მოსმენის საშუალებით. აკუსტიკური აქცენტირება და დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ:მეორე დონეზე მყოფი ბავშვები წინადადებაში უფრო მეტ ელემენტზე დაიწყებენ ყურადღების მიქცევას. ზემოთ მოყვანილი მაგალითი შეიცავს 4 მნიშვნელოვან ელემენტს, რაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს მესამე დონეზე ახლად გადასული ბავშვისთვის. გამოყავით ელემენტები მათზე მახვილისა და პაუზის გამოყენებით და ნახეთ, შეძლებს თუ არა ბავშვი მითითებების შესრულებას. თუ ეს მისთვის მაინც ძალიან რთული იქნება, გაყავით დავალება 2 ეტაპად. ამოიცანით მოთამაშე, მერე მისი ადგილი. შემდეგ კვლავ გაიმეორეთ მთლიანი ინსტრუქცია 4 ელემენტის ასაწყობად.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მითითებებს, რომლებიც შეიცავს სახელს (ან აღწერას) + თანდებულს + საგანს

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ბარიერული თამაშები შესანიშნავია მოსმენის სავარჯიშოდ. შეახსენეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ ახლოს დაჯდეს ბავშვის აუდიო პროცესორთან, რათა უზრუნველყოს წინადადების სტრუქტურის ოპტიმალური მიწოდება, რომელიც ბავშვმა შემდგომ ზუსტად უნდა გაიმეოროს. გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ მესამე დონეზე მყოფ ბავშვებს ისწავლონ ახალი თანდებულები. მიაწოდეთ ვარიანტებიანი შეკითხვებით ახალი სიტყვები, რათა შეძლონ მათი ზუსტად გამეორება იმისათვის, რომ მისცენ მშობლებს/აღმზრდელებს მითითებები. შენ ალბათ გინდა უთხრა მამას, რომ აქ დადოს წითელ მაისურიანი გოგონა კლდის ქვეშ ან აქ, სოკოს ზემოთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ამოწმებს საკუთარ თავს დაზუსტებითი კითხვების მეშვეობით (მაგალითად, სოკოს გვერდით დავდე?)

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ბარიერული თამაშები საშუალებას გაძლევთ ივარჯიშოთ დაზუსტებითი კითხვების გამოყენებაში. მოუწოდეთ მშობელს/აღმზრდელს გამოიყენოს ამ ტიპის კითხვები, რათა შეამოწმოს, იცის თუ არა ბავშვმა სად უნდა დააყენოს მოთამაშე. მიაწოდეთ მშობელს/აღმზრდელს შეკითხვის მოდელი, რომლითაც მან უნდა შეამოწმოს, აქვს თუ არა სწორი ინფორმაცია. შეგიძლიათ დედასთან გადაამოწმო და ჰკითხო: "შემიძლია სოკოს გვერდით დავსვა?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. მოედანი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოედანი



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00372 1.0

MED-EL-ის სამედიცინო აღჭურვილობა
ფურსტენვეგ 77ა | 6020 ინსბრუკი, ავსტრია | office@medel.com

medel.com